

ს ს ი ა  
საქართველოს  
ტექნიკური უნივერსიტეტი  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

18.07-2011 № 647/03

სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო  
და საექსპერტო ლაბორატორიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წ. 10 ივნისის №466 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წ. 22 ივნისის №13 სხდომის, №5 გადაწყვეტილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. შეიქმნას სტუ-ს „სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორია“;
2. სტუ-ს „სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორია“ უფლებამოსილია განახორციელოს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წ. 22 ივნისის №13 სხდომის №5 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად გათვალისწინებული საქმიანობა.
3. სტუ-ს „სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორიის“ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება განხორციელდეს სამშენებლო ფაკულტეტის 2011 წლის ბიუჯეტიდან;

რექტორი, პროფესორი

 ა.ფრანგიშვილი

პიზაპი: ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,  
პროფ. ქ.ქოქრაშვილი

ადამიანური რესურსების  
მართვის დეპარტამენტის  
უფროსი ხ.ჩხიკვიშვილი

იურიდიული დეპარტამენტის  
უფროსი ბ.მაისურაძე

შემსრ: ა.შალვაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2011 წლის 22 ივნისის №13 სხდომის

ბ ა დ ა ვ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 22 ივნისის №13 სხდომაზე პროფ. ზურაბ გასიტაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ს „სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორიის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. აკადემიური საბჭოს დადგენილება №466.

წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა აკადემიური საბჭოს დადგენილება №466 სტუ-ს „სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორიის“ შექმნის შესახებ. ასევე დაამტკიცდა მისი დებულება.

საშტატო განრიგით გათვალისწინებულ მომუშავეთა შრომის ანაზღაურება განხორციელდეს სამშენებლო ფაკულტეტის 2011 წლის ბიუჯეტიდან. მისი გაზრდის აუცილებლობის შემთხვევაში დაისვას საკითხი განსახილველად წარმომადგენლობითი საბჭოს წინაშე.

სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს  
სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის  
სასწავლო, სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორიის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მიღებულია საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ  
10 აგვისტო 2011წ. № 166 დადგენილებით

და დამტკიცებულია წარმომადგენლობითი  
საბჭოს მიერ 22 აგვისტო 2011წ. № 5  
გადაწყვეტილებით.

თბილისი 2011წ.

## 1. ზოგადი დებულებები

- 1.1 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში (შემდგომში - სტუ) სამშენებლო ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეული - ლაბორატორია (შემდგომში ლაბორატორია) შექმნილია და დამტკიცებულია სტუს-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 10.06 № 466 დადგენილებით და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 22.06 2011 წ. № 5 გადაწყვეტილებით.
- 1.2 ლაბორატორია თავისი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, სტუს-ს წესდების, წინამდებარე დებულების, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- 1.3 ლაბორატორია ფინანსდება სტუს-ს ბიუჯეტიდან;
- 1.4 საჭიროების შემთხვევაში ლაბორატორია შეამდგომლობს უნივერსიტეტის წინაშე, როგორც საქართველოს, აგრეთვე სხვა ქვეყნის სპეციალისტების მოწვევის და მათთან სათანადო შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების თაობაზე;
- 1.5 რექტორის, შესაბამისი დარგის რექტორის მოადგილის, აკადემიური საბჭოს ან წარმომადგენლობითი საბჭოს მოთხოვნით შეიძლება ჩატარდეს ლაბორატორიის ანგარიშის რიგგარეშე განხილვა;

## 2. ლაბორატორიის საქმიანობის მიზნები და ძირითადი მიმართულებები

- 2.1 თანამედროვე სამშენებლო მეცნიერების მიღწევების დანერგვა სასწავლო პროცესში და საინჟინრო პრაქტიკაში;
- 2.2 სამშენებლო ფაკულტეტის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის ლაბორატორიული სამუშაოების ციკლის ფორმირება და დემონსტრირება ფაკულტეტის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად;
- 2.3 ფაკულტეტის დოქტორანტებისათვის სამეცნიერო კვლევით სამუშაოების შესასრულებლად შესაბამისი პირობების უზრუნველყოფა;
- 2.4 სტუს-ს სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლების და მეცნიერთანამშრომლების მომსახურება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად;

2.5 სამეცნიერო კვლევითი-სამუშაოების შესრულება ერთჯერადი სამეურნეო ხელშეკრულების საფუძველზე, სამშენებლო ობიექტზე გამოყენებული მასალების ხარისხზე საექსპერტო დასკვნების მომზადება, შენობა-ნაგებობები და კონსტრუქციების გამოკვლევების განხორციელება;

2.6 სამოქალაქო და სატრანსპორტო კომუნიკაციების მშენებლობაში დაკავებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლება მოკლევადიანი სემინარის ფარგლებში და სათანადო სერთიფიკატის გაცემით.

### **3. ლაბორატორიის მართვის ორგანოები და საშტატო სტრუქტურა**

3.1 ლაბორატორიის საქმიანობის ძირითადი მიმართულების კოორდინირებას ახორციელებენ მეთოდური საბჭო და სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო;

3.2 მეთოდური საბჭო განიხილავს ფაკულტეტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ ლაბორატორიული სამუშაოების მეთოდურ მითითებებს, განსაზღვრავს მათი აკადემიურ სასწავლო პროგრამებში ჩართვის მიზანშეწონილობას და ამტკიცებს ლაბორატორიული სამუშაოების პროგრამებს და მათი ჩატარების მიმდევრობას საბაკალავრო და სამაგისტრო სასწავლო გეგმებში;

3.3 მეთოდური საბჭო 12 წევრის შემადგენლობით ინიშნება სტუ-ს რექტორის ბრძანებით სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის წარდგენის საფუძველზე.

3.4 მეთოდურ საბჭოს ხელმძღვანელობს ფაკულტეტის დეკანი.

3.5 მეთოდური საბჭო თავის გადაწყვეტილებებს იღებს ხმების უმრავლესობით;

3.6 ლაბორატორიის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო კოორდინირებას უწევს სამეცნიერო კვლევითი და სამეურნეო სამუშაოებს, განსაზღვრავს ცალკეული სამუშაოების პრიორიტეტულობას, საჭიროების შემთხვევაში განიხილავს და ამტკიცებს შესრულებული სამუშაოების ტექნიკურ ანგარიშებს, სადისერტაციო საბჭოს მიმართვის შემთხვევაში აწარმოებს სადოქტორო დისერტაციების წინასწარ განხილვას.

3.7 სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო 10 წევრის შემადგენლობით ინიშნება სტუ-ს რექტორის ბრძანებით ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით. სადოქტორო დისერტაციების წინასწარი განხილვისას საბჭოში დამატებით შეიძლება ერთჯერადად

მოწვეული იქნან შესაბამისი დარგის სპეცილისტების არა უმეტეს 5 წევრისა გადამწვევტი ხმის უფლებით.

3.8 სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო თავის გადაწყვეტილებებს იღებს ხმების უბრალო უმრავლესობით;

3.9 სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოს ხელმძღვანელობს ლაბორატორიის სამეცნიერო ხელმძღვანელი;

3.10 ლაბორატორიის ყოველდღიურ ოპერატიულ საქმიანობას ანხორციელებს მუდმივი საშტატო პერსონალი ლაბორატორიის სამეცნიერო ხელმძღვანელის მეთაურობით. (იხ. დანართი №1).

3.11 ლაბორატორიის სამეცნიერო ხელმძღვანელი ინიშნება სტუ-ს რექტორის ბრძანებით ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე.

3.12 ლაბორატორიის სამეცნიერო ხელმძღვანელი უფლებამოსილია.

ა. განახორციელოს კონტროლი ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ მათზე განპირობებული სამუშაოს დროული და სრული მოცულობით შესრულებაზე, შრომის ანაზღაურებასა და სხვა ადმინისტრაციულ დონისძიებებზე;

ბ. მოაწყოს ლაბორატორიის სამეცნიერო შრომების, განხორციელებული და მიმდინარე პროექტების, გამოშვებული შედგენილი სახელმძღვანელოების, ახალი სამუშაოების და. ა.შ. პრეზენტაციები;

გ. განახორციელოს ლაბორატორიის ეფექტიან მართვასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა აუცილებელი საქმიანობა;

დ. მოამზადოს ხელშეკრულების პროექტები და გასაფორმებლად წარუდგინოს სტუ-ს რექტორს;

3.13 ლაბორატორიის სამეცნიერო ხელმძღვანელს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ენიჭება პასუხისმგებლობა სამეცნიერო სამუშაოების და საგანმანათლებლო საქმიანობის მოცულობის, მიმართულებების, შესრულების ვადების, შინაარსის და ხასიათის განსაზღვრისათვის, აგრეთვე ლაბორატორიისათვის სარგებლობის უფლებით გადაცემული უნივერსიტეტის ქონების მიზნობრივად გამოყენების, შენახვის და გამართული მდგომარეობაში შებარჩუნებისათვის;

- 3.14 ლაბორატორიაში შესრულებული სამუშაოების შესრულების ხარისხს, მათ შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან უზრუნველყოფს ხარისხის მენეჯერი;
- 3.15 ხარისხის მენეჯერი ორგანიზაციას უკეთებს აპარატურის კალიბრაციის პროცესს, ადგენს მის პერიოდულობას და ანხორციელებს შიდა ლაბორატორიულ აუდიტს.
- 3.16 ხარისხის მენეჯერი ასევე ორგანიზებას უკეთებს ლაბორატორიის თანამშრომლების ტრენინგს და უზრუნველყოფს მათი კვალიფიკაციის შესაბამისობას საერთაშორისო სტანდარტებთან;
- 3.17 ლაბორატორიაში საასწავლო პროცესის და სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელობას ახორციელებს ლაბორატორიის გამგე.
- 3.18 ლაბორატორიის გამგე ადგენს მეთოდურ საბჭოს მიერ დამტკიცებული ლაბორატორიული სამუშაოების განრიგს და ნიშნავს კონკრეტული სამუშაოს შემსრულებელ ინჟინერ-ოპერატორს და ლაბორანტს.
- 3.19 ლაბორატორიის გამგე კოორდინირებას უწევს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებას, სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების პირობებში.
- 3.20 ლაბორატორიის გამგე ახორციელებს ლაბორატორიაში არსებული აპარატურის და დანადგარების ყოველდღიური დათვალიერებას, აკონტროლებს გეგმიური პროფილაქტიკური ღონისძიების და საჭიროების შემთხვევაში სარემონტო სამუშაოების ჩატარებას.
- 3.21 ლაბორატორიის გამგე აკონტროლებს საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის საქმიანობას სასწავლო პროცესის და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების პროცესში.
- 3.2 ლაბორატორიული დანადგარების, აპარატურის შენახვა და მათი კომპლექტაციის შენარჩუნებას უზრუნველყოფს ლაბორატორიის გამგის მოადგილე (მატერიალურად პასუხისმგებელი პირი).
- 3.23 ლაბორატორიის გამგის მოადგილე ვალდებულია, ასევე უზრუნველყოს ლაბორატორიის მომარაგება სასწავლო პროცესის და სამეცნიერო კვლევითი სამუშაოებისათვის აუცილებელი მასალებით, საკანცელარიო ინვენტარით და განახორციელოს კონტროლი შრომის უსაფრთხოების და ხანძარსაწინააღმდეგო პირობების შესრულებაზე.
- 3.24 ლაბორატორიის საინჟინრო-ტექნიკური პერსონალი-უფროსი ინჟინერი, ინჟინერი, უფროსი ლაბორანტი და ლაბორანტი ლაბორატორიის გამგის დავალებით

უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის და სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების შესრულებას ლაბორატორიული აპარატურის და დანადგარების ექსპლუატაციის საფუძველზე.

3.25 ინჟინერ-მექანიკოსი ვალდებულია განახორციელოს აპარატურის და დანადგარების ყოველდღიური ტექნიკური დათვალიერება, განახორციელოს გეგმიური პლოფილაქტიკური მომსახურება და საჭიროების შემთხვევაში ასრულებს სარემონტო სამუშაოებს.

3.26 მუდმივ საშტატო პერსონალთან ერთად სამეცნიერო-კვლევითი და სამეურნეო სამუშაოების შესრულება განხორციელდება ფაკულტეტის დეპარტამენტისა და მოწვეული სპეციალისტების მიერ ერთჯერადი ხელშეკრულების საფუძველზე. მათი შრომის ანაზღაურება შესაძლებელია მხოლოდ თვითდაფინანსების პრინციპით.

#### 4. ცენტრის ქონება, ფინანსები და დაფინანსების წყაროები

4.1 ლაბორატორია განლაგებულია სტუ-ს I სასწავლო კორპუსში (კოსტავას 68ბ). ლაბორატორიას სარგებლობაში გადაეცემა სტუ-ს შესაბამისი ლაბორატორიული აპარატურა და დანადგარები.

4.2 ლაბორატორია ფინანსდება სტუ-ს ბიუჯეტიდან ამავე დროს ის არ არის საფინანსო - საგადასახადო სისტემის განცალკავებული სუბიექტი და წარმოადგენს სტუ-ს საფინანსო სისტემის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს;

ლაბორატორიის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტთან ფინანსური ურთიერთობის რეგულირების პოლიტიკას (წესს) განსაზღვრავს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო, რომლის საფუძველზეც საგეგმო-საფინანსო განყოფილება ეწევა ფინანსურ მენეჯმენტს.

4.3 სამუშაოების წარმოების საფუძველს წარმოადგენს ლაბორატორიის სამეცნიერო ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე დამკვეთსა და უნივერსიტეტს შორის დადებული ხელშეკრულება;

4.4 გაწეული სამუშაოს ანაზღაურება წარმოებს ხელშეკრულების საფუძველზე;

4.5 ფინანსური და საბუღალტრო ანგარიშგების ფორმები, ხელშეკრულებები, სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტები და მისთანები რეგულირდება სტუ-ს შიდა ადმინისტრაციული აქტებით;

## **5 ლაბორატორიის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია**

5.1 ლაბორატორიის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება სტუ-ს შესაბამისი ადმინისტრაციული აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად;

## **6 დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა**

6.1 დებულებაში ცვლილებებსა და დამატებებს შეიმუშავენ ლაბორატორიის სამეცნიერო ხელმძღვანელი, რასაც განიხილავს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო და ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

## **7 დასკვნები დებულებები**

7.1 წინამდებარე დებულება ძალაში შედის უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებისათვის;

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო  
კვლევითი ცენტრის ლაბორატორია

ლაბორატორიის სამეცნიერო ხელმძღვანელი	1
ლაბორატორიის გამგე	1
ლაბორატორიის გამგის მოადგილე, მატერიალურ-ტექნიკურ საკითხებში (მატერიალურად პასუხისმგებელი პირი)	1
ხარისხის მენეჯერი	1
უფროსი ინჟინერი	1
ინჟინერ-ოპერატორი	3
ინჟინერ-მექანიკოსი	1
უფროსი ლაბორანტი	1
ლაბორანტი	2

საჭიროების შემთხვევაში სამეცნიერო-კვლევითი და სამეურნეო სამუშაოების შესრულება განხორციელდება ფაკულტეტის დეპარტამენტის წარმომადგენლობის და მოწვეული სპეციალისტების მიერ ერთჯერადი ხელშეკრულების საფუძველზე.

სამშენებლო ფაკულტეტის  
დეკანი

ზ. გედენიძე

Handwritten notes and signatures at the top left of the page.


საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
რექტორს ბატონ არჩილ ფრანგიშვილს

მთხსენებითი ბარათი

გთხოვთ, დაგვიმტკიცოთ სამშენებლო ფაკულტეტის ლაბორატორიის  
სამტატო განრიგი:

ლაბორატორიის სამეცნიერო ხელმძღვანელი	1
ლაბორატორიის გამგე	1
ხარისხის მართვის ინჟინერი	1
შრომის დაცვის და უსაფრთხოების ინჟინერი	1
უფროსი ინჟინერი	2
ინჟინერ-ოპერატორი	3
ინჟინერ-მექანიკოსი	1
უფროსი ინჟინერ - პროგრამისტი	1
ინჟინერ-პროგრამისტი	5
უფროსი ლაბორანტი	14
ლაბორანტი	11

სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის  
ფუნქციის შემსრულებელი  
ლაბორატორიის გამგე



Handwritten signature of the official.

ა. გელენიძე  
ვ. დვალისვილი

ა(ა)იპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

04.06.2012 # 493/03

პირადი შემადგენლობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, სამშენებლო ფაკულტეტის დეკანისა და სამშენებლო ფაკულტეტის სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორიის გამგის ერთობლივი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორიის სამეცნიერო ხელმძღვანელის არჩილი ნიკოლოზის ძე მოწონელიძის მოვალეობები განისაზღვროს შემდგნაირად:
  - სასწავლო პროცესის და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინირება;
  - ლაბორატორიული აპარატურის და დანადგარების შეუფერხებლად მუშაოების უზრუნველყოფა;
  - ლაბორატორიის საინჟინრო ტექნიკური პერსონალის ორგანიზება და კონტროლი.
2. სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორიის გამგის ვიტალი ვლასის ძე დვალიშვილის მოვალეობები განისაზღვროს შემდგნაირად:
  - სასწავლო პროცესის და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების კოორდინირება;
  - ლაბორატორიული აპარატურის და დანადგარების შეუფერხებლად მუშაოების უზრუნველყოფა;
  - ლაბორატორიის საინჟინრო ტექნიკური პერსონალის ორგანიზება და კონტროლი;
3. სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორიის ხარისხის მართვის ინჟინრის გიორგი ავაკის ძე რუხაძის (ხელშეკრულებით) მოვალეობები განისაზღვროს შემდგნაირად:
  - უზრუნველყოფს ლაბორატორიაში შესრულებული სამუშაოების შესაბამისობას რეგიონალურ და საერთაშორისო სტანდარტებთან;
  - აკონტროლებს აპარატურის კალიბრაციის პროცესს და აბორცელებს შიდა ლაბორატორიულ აუდიტს;

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
სამშენებლო ფაკულტეტი  
15

- ორგანიზებას უკეთებს უზრუნველყოფს მათი სტანდარტებთან.

ლაბორატორიის პერსონალის ტრეინინგს, კვალიფიკაციის შესაბამისობას საერთაშორისო

რექტორი



ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

პროფ. ე. ქოქრაშვილი


ადამიანური რესურსების

მართვის დეპარტამენტის

უფროსი ბ. ჩხიკვიშვილი


იურიდიული დეპარტამენტის

უფროსი ბ. მაისურაძე



2017 წლის 18 ივნისი



ა(ა)იპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

04 06 2012 # 494/03

პირადი შემადგენლობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, სამშენებლო ფაკულტეტის დეკანისა და სამშენებლო ფაკულტეტის სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორიის გამგის ერთობლივი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორიის ქვემოთ ჩამოთვლილი თანამშრომლების მოვალეობები განისაზღვროს შემდგენიარად:
  - 1.1. გუბელიძე ზურაბი ბორისის ძე, უფროსი ინჟინერი:
    - ლაბორატორიის საინჟინრო-ტექნიკური პესონალური მუშაოების ორგანიზება;
    - სასწავლო და სამეცნიერო სამუშაოების განრიგის კოორდინირება;
  - 1.2. ბახტაძე ნინო ვახტანგის ასული, ინჟინერ-ოპერატორი:
    - ლაბორატორიის საინჟინრო-ტექნიკური პესონალური მუშაოების ორგანიზება;
    - სასწავლო და სამეცნიერო სამუშაოების განრიგის კოორდინირება;
  - 1.3. ნინიძე თენგიზ დავითის ძე, ინჟინერ-ოპერატორი:
    - ლაბორატორიის საინჟინრო-ტექნიკური პესონალური მუშაოების ორგანიზება;
    - სასწავლო და სამეცნიერო სამუშაოების განრიგის კოორდინირება;
  - 1.4. ტაბატაძე ნათია ნოდარის ასული, ინჟინერ-ოპერატორი:
    - ლაბორატორიის საინჟინრო-ტექნიკური პესონალური მუშაოების ორგანიზება;
    - სასწავლო და სამეცნიერო სამუშაოების განრიგის კოორდინირება;
  - 1.5. წულუკიძე მერაბი პეტრეს ძე, ინჟინერ-მექანიკოსი (შრომის დაცვის და უსაფრთხოების ინჟინრის მოვალეობის შესრულებელი)
    - ლაბორატორიის აპარატურის ყოველდღიური ტექნიკური დათვალიერება და მომსახურება, მიმდინარე და კაპიტალური რემონტის ორგანიზება;
  - 1.6. გორგობიანი რუსუდანი შოთას ასული, უფროსი ლაბორანტი:
    - ლაბორატორიული სამუშაოების განრიგის შედგენა და კოორდინირება;
    - ლაბორატორიის აპარატურის ყოველდღიური ტექნიკური დათვალიერება და მომსახურება, მიმდინარე და კაპიტალური რემონტის ორგანიზება;
    - ლაბორატორიული უზრუნველყოფა მასალების ნიმუშის დასამზადებლად;
    - ლაბორატორიული აპარატურაზე შესრულებული სამუშაოს რეგისტრაცია
  - 1.7. ხაჩიძე ბექა თამაზის ძე, უფროსი ლაბორანტი;



Handwritten signatures and initials at the bottom right of the page.

- ლაბორატორიული სამუშაოების განრიგის შედგენა და კოორდინირება;
- ლაბორატორიის აპარატურის ყოველდღიური ტექნიკური დათვალიერება და მომსახურება, მიმდინარე და კაპიტალური რემონტის ორგანიზება
- ლაბორატორიული უზრუნველყოფა მასალებით ნიმუშის დასამზადებლად;
- ლაბორატორიული აპარატურაზე შესრულებული სამუშაოს რეგისტრაცია.

1.8. გიორგიშვილი ოლღა გიორგის ასული, ლაბორანტი:

- ლაბორატორიული სამუშაოების განრიგის შედგენა და კოორდინირება;
- ლაბორატორიის აპარატურის ყოველდღიური ტექნიკური დათვალიერება და მომსახურება, მიმდინარე და კაპიტალური რემონტის ორგანიზება
- ლაბორატორიული უზრუნველყოფა მასალებით ნიმუშის დასამზადებლად;
- ლაბორატორიული აპარატურაზე შესრულებული სამუშაოს რეგისტრაცია;


1.9. კიზირია დავითი ზურაბის ძე, ლაბორანტი:

- ლაბორატორიული სამუშაოების განრიგის შედგენა და კოორდინირება;
- ლაბორატორიის აპარატურის ყოველდღიური ტექნიკური დათვალიერება და მომსახურება, მიმდინარე და კაპიტალური რემონტის ორგანიზება
- ლაბორატორიული უზრუნველყოფა მასალებით ნიმუშის დასამზადებლად;
- ლაბორატორიული აპარატურაზე შესრულებული სამუშაოს რეგისტრაცია

1.10. ყიფიანი ვახტანგი გოჩას ძე, ლაბორანტი:

- ლაბორატორიული სამუშაოების განრიგის შედგენა და კოორდინირება;
- ლაბორატორიის აპარატურის ყოველდღიური ტექნიკური დათვალიერება და მომსახურება, მიმდინარე და კაპიტალური რემონტის ორგანიზება
- ლაბორატორიული უზრუნველყოფა მასალებით ნიმუშის დასამზადებლად;
- ლაბორატორიული აპარატურაზე შესრულებული სამუშაოს რეგისტრაცია

რექტორი



ა. ფრანგიშვილი

ვიზები:

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

პროფ. ქ. ქოქრაშვილი


ადამიანური რესურსების


მართვის დეპარტამენტის

უფროსი ხ. ჩხიკვიშვილი

იურიდიული დეპარტამენტის

უფროსი ბ. მაისურაძე







25.07.2012 № 682/03

პირადი შემადგენლობის შესახებ

§ - 1

სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და საექსპერტო (2011) დაბორაგტორიასში, ა.წ. 15 ივლისიდან მოხდეს შემდეგი ცვლილებები უნივერსიტეტის შესაბამისი მმართველი ხუბიექტების მიერ აღმსდლები განათლების შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის, პირველი პუნქტის ად მუხიქმით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებასდე.

1. ხსიძე თენჯის დავითის ძე - ინჟინერ-ინჟინარტორი გადაყვასილ იქნას, ხელშეკრულებით, უფროს ინჟინრის თანამდებობაზე და მისი ყოველთვიური ხელფასი განისაზღვროს 600 ღარით;
2. წულუკიძე მერაბ პეტრეს ძეს - ინჟინერ-მექანიკის მთესხას შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ინჟინრის მოვალეობა;
3. ხსიძე ბექა თამაზის ას - უფრ. კონტრაქტი გადაყვასილ იქნას, ხელშეკრულებით, შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ინჟინრის თანამდებობაზე და მისი ყოველთვიური ხელფასი განისაზღვროს 500 ღარით;
4. კორგიშვილი თაღა კორგის ას - დაბორაგტი გადაყვასილ იქნას, ხელშეკრულებით უფროსი დაბორაგტის თანამდებობაზე და მისი ყოველთვიური ხელფასი განისაზღვროს 350 ღარით.

§ - 2

მოწინელოდე ხიკალოის არხილის ძე - ინჟინერტორი, ხელშეკრულებით, ინჟინერ-ინჟინარტორის თანამდებობაზე, ა.წ. 15 ივლისიდან უნივერსიტეტის შესაბამისი მმართველი ხუბიექტების მიერ აღმსდლები განათლების

შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებამდე და მისი ეფექტოვიური ხელშეწყობის შესახებ გადაწყვეტილება 50<sup>00</sup> ჯარით.

საწინამდროვე 1-2 §-ისა: სამშენებლო ფაქულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და საექსპერტო ღაბორატორიის ხელმძღვანელის ვადვალისშვილის მოხსენებითი ბარათი.

რექტორი, პროფესორი

ს.ფრანკოშვილი

პირველი - დამხმარებლის ხელმძღვანელი,  
პროფ. ქ.ქორაშვილი

სამსახური რეგისტრის  
მართვის დეპარტამენტის  
უფროსი ჩხეიძეშვილი

თეროვილი დეპარტამენტის  
უფროსი ბმასურაძე

მეორე - მასწავლებელი

სამედიცინო ცენტრი

სსიპ  
საქართველოს  
ტექნიკური უნივერსიტეტი  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

14.02.14 № 123/03

პირადი შემადგენლობის შესახებ

§ - 1

რუხაძე გიორგი აკაკის ძე - მშენებლობის სასწავლო-სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორიის უფროსი ლაბორანტი, განთავისუფლებულ იქნას დაკავებული თანამდებობიდან ა.წლის 10 თებერვლიდან.

საფუძველი: პირადი განცხადება სამშენებლო ფაკულტეტის ლაბორატორიის ხელმძღვანელის ვ.დვალიშვილის თანხმობით.

§ - 2

გიორგაძე გიორგი ოთარის ძე - მიღებულ იქნას მშენებლობის სასწავლო-სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორიაში უფროსი ლაბორანტის თანამდებობაზე, ა.წლის 10 თებერვლიდან უნივერსიტეტის შესაბამისი მმართველი სუბიექტების მიერ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის, პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებამდე და მისი ყოველთვიური ხელფასი განისაზღვროს 350 ლარით.

საფუძველი: პირადი განცხადება სამშენებლო ფაკულტეტის ლაბორატორიის ხელმძღვანელის ვ.დვალიშვილის თანხმობით.

რექტორი

ა.ფრანგიშვილი

ვიზები: ადმინისტრაციის ხელმძღვანელი  
პროფ. ქ. ქოქრაშვილი  
ადამიანური რესურსების  
მართვის დეპარტამენტის  
უფროსი ხ.ჩხიკვიშვილი  
იურიდიული დეპარტამენტი  
უფროსი ბ.მაისურაძე



ა(ა)იპ

საქართველოს

ბუნებისმეტყველების უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

09-2013 № 653/03

პირადი შემადგენლობის შესახებ

§ - 1

რუხაძე გიორგი აკაკის ძე - მშენებლობის სასწ.სამეც. და საექსპერტო  
ლაბორატორიის ხარისხის მართვის ინჟინერი, გადაყვანილ იქნას იმავე  
ლაბორატორიაში ხელშეკრულებით უფროსი ლაბორანტის თანამდებობაზე ა.წლის  
სექტემბრიდან უნივერსიტეტის შესაბამისი მმართველი სუბიექტების მიერ  
შესანიშნავი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის, პირველი  
პუნქტის " დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებამდე და  
ყოველთვიური ხელფასი განისაზღვროს 350 ლარით.

§ - 2

გუბელიძე სურაბი ბორისის ძე - მშენებლობის სასწ.სამეც. და საექსპერტო  
ლაბორატორიის უფროსი ინჟინერი, გადაყვანილ იქნას იმავე ლაბორატორიაში  
ხელშეკრულებით ხარისხის მართვის ინჟინრის თანამდებობაზე ა.წლის 2  
სექტემბრიდან უნივერსიტეტის შესაბამისი მმართველი სუბიექტების მიერ  
შესანიშნავი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის, პირველი  
პუნქტის " დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებამდე და  
ყოველთვიური ხელფასი განისაზღვროს 700 ლარით.

§ - 3

ბანიძე ბექა თამაზის ძე - მშენებლობის სასწ.სამეც. და საექსპერტო  
ლაბორატორიის შრომის, დაცვისა და უსაფრთხოების ინჟინერი, გადაყვანილ იქნას  
ლაბორატორიაში ხელშეკრულებით უფროსი ინჟინრის თანამდებობაზე  
სექტემბრიდან უნივერსიტეტის შესაბამისი მმართველი სუბიექტების მიერ  
შესანიშნავი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის, პირველი  
პუნქტის " დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებამდე და  
ყოველთვიური ხელფასი განისაზღვროს 600 ლარით.


§ - 4

გორგოშვილი თინათინა გიორგის ას - მშენებლობის სასწ.სამეც. და  
ლაბორატორიის უფროსი ლაბორანტი გადაყვანილ იქნას იმავე  
ლაბორატორიაში ხელშეკრულებით შრომის, დაცვის და უსაფრთხოების ინჟინრის  
თანამდებობაზე ა.წლის 2 სექტემბრიდან უნივერსიტეტის შესაბამისი მმართველი  
სუბიექტების მიერ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 24-  
ე მუხლის, პირველი პუნქტის " დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული  
გადაწყვეტილების მიღებამდე და მისი ყოველთვიური ხელფასი განისაზღვროს 500

თათანაშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე - მიღებულ იქნას სამშენებლო  
პროექტის მშენებლობის სასწავლო სამეცნიერო და საექსპერტო  
ლაბორატორიაში ლაბორანტის თანამდებობაზე, ხელშეკრულებით ა.წლის 2  
ნოემბრიდან უნივერსიტეტის შესაბამისი მმართველი სუბიექტების მიერ  
ალექსი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის, პირველი  
პუნქტის "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებამდე და  
საგარეო ურთიერთობათა სამსახურის ხელფასი განისაზღვროს 330 ლარით.

მელელაშვილი შორენა ვლადიმერის ას - მიღებულ იქნას სამშენებლო  
პროექტის მშენებლობის სასწავლო სამეცნიერო და საექსპერტო  
ლაბორატორიაში ლაბორანტის თანამდებობაზე, ხელშეკრულებით ა.წლის 2  
ნოემბრიდან უნივერსიტეტის შესაბამისი მმართველი სუბიექტების მიერ  
ალექსი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის, პირველი  
პუნქტის "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებამდე და  
საგარეო ურთიერთობათა სამსახურის ხელფასი განისაზღვროს 330 ლარით.  
შეწყვეტილი: პირადი განცხადება და სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის  
განცხადებითი ბარათი.

საგარეო ურთიერთობათა სამსახური  
საგარეო ურთიერთობათა სამსახურის ხელმძღვანელი  
საგარეო ურთიერთობათა სამსახური  
საგარეო ურთიერთობათა სამსახური



ა.ფრანგიშვილი



1

საქართველოს  
რეპუბლიკის უშიშროების  
სისტემის

1993 წლის N 1270/ს

საინჟინერო-ტექნიკური უწყისების შესახებ

ს - 1

სადუქცადე თერაპიის - სამშენებლო ფაკულტეტის მშენებლობის  
სახელმძღვანელო-სამეცნიერო და ტექნიკური ლაბორატორიის დაბინავების  
გადამუშავების თქმის იმყოფი ლაბორატორიაში ინჟინერ-მექანიკის თანამდებობის  
აქვს 15 დეკემბრის უნივერსიტეტის შესახებ მმართველი ხუბოქციის  
მერ "უმაღლესი საბჭოს" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის  
პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების  
ძირითად და მისი ყოველთვიური ხელფასი განისაზღვროს 550 ლარით.

ს - 2

სადუქცადე თერაპიის - სამშენებლო ფაკულტეტის მშენებლობის  
სახელმძღვანელო-სამეცნიერო და ტექნიკური ლაბორატორიის უფროს დაბინავების  
მუშაობების დაბინავების უნივერსიტეტის აქვს 15 დეკემბრის უნივერსიტეტის  
შესახებ მმართველი ხუბოქციის მერ "უმაღლესი საბჭოს" საქართველოს  
კანონის 24-ე მუხლის, პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტით  
გათვალისწინებული გადაწყვეტილების ძირითად და მისი ყოველთვიური  
ხელფასი განისაზღვროს 125 ლარით.

§ - 3

გუბელიძე ჯაბა სურათის ძე - მიღებულ იქნას სამშენებლო ფაკულტეტის მშენებლობის სასწავლო-სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორიის ლაბორანტის 0,5 განაკვეთზე, აწლის 15 დეკემბრიდან უნივერსიტეტის შესაბამისი მმართველი სუბიექტების მიერ "უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის, პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებამდე და მისი ყოველთვიური ხელფასი განისაზღვროს ს.გ.დ.ით.

საფუძველი: 1-2-3 §§§-ისა: სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის ზ.გედენიძის მოხსენებით ს.გ.დ.ით.

რექტორი

ა.ფრანგიშვილი

პიზაბი: ადმინისტრაციის ხელმძღვანელი  
პროფ. ქ. ქოქრაშვილი  
ადამიანური რესურსების  
მართვის დეპარტამენტის  
უფროსი ხ.ჩხიკვიშვილი  
იურიდიული დეპარტამენტის  
უფროსი ბ.მაისურაძე

უამსო: ლ.დოლენჯაშვილი

ს(ა)იპ  
საქართველოს  
ტექნიკური უნივერსიტეტი  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

04.09.2013 № 651/03

პირადი შემადგენლობის შესახებ

§ - 1

ორთოიძე გულმანი გიორგის ას - მათემატიკის დეპარტამენტში მომუშავე ლაბორანტი გადაყვანილ იქნას იმავე დეპარტამენტში სპეციალისტის თანამდებობაზე ხელშეკრულებით, ა.წლის 2 სექტემბრიდან უნივერსიტეტის შესაბამისი მმართველი სუბიექტების მიერ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის, პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებამდე და მისი ყოველთვიური ხელფასი განისაზღვროს 400 ლარით.

საფუძველი: პირადი განცხადება.

§ - 2

გიორგობიანი რუსუდანი შოთას ას - მშენებლობის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის უფროსი ლაბორანტი გადაყვანილ იქნას იმავე ლაბორატორიაში ინჟინერ-ოპერატორის თანამდებობაზე ხელშეკრულებით, ა.წლის 2 სექტემბრიდან უნივერსიტეტის შესაბამისი მმართველი სუბიექტების მიერ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის, პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებამდე და მისი ყოველთვიური ხელფასი განისაზღვროს 500 ლარით.

საფუძველი: სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის ზ.გედენიძის და ლაბორატ. გამგის ვ.დვალაშვილის თანხმობით.

§ - 3

ქვლბაქიანი თეიმურაზი რმიკოს ძე - სტუ-ს სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტთან არსებული ტყიბულის სამთო-გეოლოგიური ინსტიტუტის დარაჯი განთავისუფლებულ იქნას სამსახურიდან პირადი განცხადების თანახმად ა.წლის 2 სექტემბრიდან.

საფუძველი: პირადი განცხადება.

რექტორი

ვიზები: ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

პროფ. ქ. ქოქრაშვილი

ადამიანური რესურსების


მართვის დეპარტამენტის

უფროსი ხ.ჩხიკვიშვილი

იურიდიული დეპარტამენტი

უფროსი ბ.მაისურაძე

ა.ფრანგიშვილი



შემსრ: ლ.დოლონჯაშვილი

სსიპ  
საქართველოს  
ტექნიკური უნივერსიტეტი  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

24.05.2013 № 405/03

პირადი შემადგენლობის შესახებ

§ - 1

ქორთიევა ვერა ვახტანგის ას - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციისა და მართვის სისტემების ლაბორანტი გადაყვანილ იქნას იმავე დეპარტამენტში ხელშეკრულებით მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე აწლის 22 მაისიდან უნივერსიტეტის შესაბამისი მმართველი სუბიექტების მიერ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის, პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებამდე და მისი ყოველთვიური ხელფასი განისაზღვროს 500 ლარით.

საფუძველი: პირადი განცხადება ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის თანხმობით.

§ - 2

+ ბოჭორიშვილი ნიკა ნუგზარის ძე - მიღებულ იქნას ხელშეკრულებით ლაბორანტის თანამდებობაზე სამშენებლო ფაკულტეტის, მშენებლობის სასწავლო, სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორიაში აწლის 20 მაისიდან უნივერსიტეტის შესაბამისი მმართველი სუბიექტების მიერ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის, პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებამდე და მისი ყოველთვიური ხელფასი განისაზღვროს 330 ლარით.

საფუძველი: პირადი განცხადება და მშენებლობის სასწავლო, საექსპერტო და სამეცნიერო ლაბორატორიის ხელმძღვანელის ვ.დვალიშვილის მოხსენებითი ბარათი.


რექტორი

პროფესორი

ვიზები: ადმინისტრაციის ხელმძღვანელი  
პროფ. ქ. ქოქრაშვილი

ადამიანური რესურსების  
მართვის დეპარტამენტის  
უფროსი ხ.ჩხიკვიშვილი

იურიდიული დეპარტამენტი  
უფროსი ბ.მაისურაძე



შემსრ: ლ.დოლენჯაშვილი

სამშენებლო ფაკულტეტის სამრეწველო  
სამოქალაქო მშენებლობის დეპარტამენტის  
ხელმძღვანელს ბატონ ა. სოხაძეს  
საინჟინრო მექანიკის დეპარტამენტის  
ხელმძღვანელს ბატონ თ. ბაციკაძეს  
საგზაო დეპარტამენტის ხელმძღვანელს  
ბატონ დ. ბურდულაძეს

2011 წლის ოქტომბერში ექსპლუატაციაში შევიდა სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორია (სტუ-ს რექტორის ბრძანება №647/036 18.07.2011წ.) ლაბორატორიაში განთავსებულია 80-ზე მეტი დასახელების დანადგარი და აპარატურა, რომლებიც საშუალებას იძლევა ფართოდ დაინერგოს თანამედროვე სამშენებლო ტექნოლოგიები სასწავლო პროცესში. კერძოდ შესაძლებელია ლაბორატორიული სამუშაოების შესრულება საშენი მასალების, გრუნტების მექანიკის, მასალათა გამძლეობის და დრეკადობის თეორიის, სამშენებლო კონსტრუქციების სასწავლო პროგრამების ფარგლებში.

ლაბორატორიაში მოწყობილია ასევე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი სპეციალური აუდიტორია, სადაც შესაძლებელია თანამედროვე სამშენებლო ტექნოლოგიური პროცესების და ლაბორატორიული სამუშაოების ტელევერსიების დემონსტრირება.

მიმდინარე სემესტრში ლაბორატორიული სამუშაოები სრულდება ადრე არსებული მეთოდური მითითებების საფუძველზე ოქტომბერ-ნოემბერში ჩატარებული ლაბორატორიული სამუშაოების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ აღნიშნული მეთოდური მითითებები მოძველებულია და არ შეესაბამება თანამედროვე სამშენებლო ტექნოლოგიების განვითარების დონეს.

ამასთან დაკავშირებით, მიმდინარე სასწავლო წლის მეორე სემესტრისათვის აუცილებელია გადაიხედოს ლაბორატორიული სამუშაოების შემადგენლობა და დამუშავდეს ახალი მეთოდური მითითებები ლაბორატორიაში არსებული აპარატურის არსებული აპარატურის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

ამ მიზნით ლაბორატორიის დებულებით გათვალისწინებულია მეთოდური ჯგუფის შექმნა, რომელსაც უხელმძღვანელებს ფაკულტეტის დეკანი.

მეთოდური ჯგუფი განიხილავს ფაკულტეტის დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილ ლაბორატორიული სამუშაოების მეთოდურ მითითებებს, განსაზღვრავს მათი აკადემიური სასწავლო პროგრამებში ჩართვის მიზანშეწონილობას და ამტკიცებს ლაბორატორიული სამუშაოების პროგრამებს და მათი ჩატარების მიმდევრობას სასწავლო პროცესში.

ზემოთმოყვანილი დებულებების გათვალისწინებით გთხოვთ დაავალოთ შესაბამისი სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელებს 2012 წლის 20 თებერვლიდან წარმოადგინონ გადამუშავებული ლაბორატორიული სამუშაოების მეთოდური მითითებები და დანიშნოთ თქვენი დეპარტამენტის პასუხისმგებელი პირები ლაბორატორიის მეთოდურ საბჭოში სამუშაოდ.

სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის  
ფუნქციის შემსრულებელი

ზ. გედენიძე

სამშენებლო ფაკულტეტის, სასწავლო  
სამეცნიერო და საექსპერტო  
ლაბორატორიის გამგე

ვ. დვალიშვილი

დაძუწავდეს ახალი მეთოდური მითითებები ღაბორატორიაში არსებულო აპარატურის არსებულო აპარატურის შესადგებლობის გათვადისწინებით.

ამ მიხნით ღაბორატორიის დებულებით გათვადისწინებულო მეთოდური ჯგუფის შექმნა, რომელსაც უსელმდგანებებს ფაკულტეტის დეკანი.

მეთოდური ჯგუფი განიხილავს ფაკულტეტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ ღაბორატორიულო ხამუწსობის მეთოდურ მითითებებს, განსახდვრავს მათი აკადემიურ სახწავლო პროგრამებში ჩართვის მიხანმეწინილობას და ამტკიცებს ღაბორატორიულო ხამუწსობის პროგრამებს და მათი ჩატარების მიმდევრობას სახწავლო პროცესში.

სემიომიუევანილო დებულებების გათვადისწინებით კახიოვ დაავადიომ შესაბამისი სახწავლო პროგრამების სელმდგანებებს 2012 წლის 20 თებერვლიდსაწ წარმოდგინონ გადამუწავებულო ღაბორატორიულო ხამუწსობის მეთოდური მითითებები და დანიშნით თქვენი დეპარტამენტის პასუხისმკვებულო პირები ღაბორატორიის მეთოდურ საბჭოში ხამუწსოდ.

სამმეხებულო ფაკულტეტის დეკანის

ფუნქციის შემსრულებულო

ნ. გოგოლასვილი

სამმეხებულო ფაკულტეტის, სახწავლო

ხამუცნიერთ და ხამუწსპერტო

ღაბორატორიის გამკვე

ნ. გოგოლასვილი

საპროტესტი - ხ. ჟორჯიანი 29.11.2011 წ.  
თავიძამე ა. ს. მ. ხ. ხ. ხ.

საპროტესტი - ხ. ჟორჯიანი

აპარატურის ჩამონათვალი და რაოდენობა

№	ჩამონათვალი	რაოდენობა	ახოტაცია
1	WA-1000 წნეხი გაჭიმვა-კუმშვაზე მეტალის ღუნვაზე გამოცდა	1	მეტალის გამოცდა გაჭიმვაზე და ცივ ღუნვაზე
2	STYE-2000C ბეტონების კუმშვაზე გამოსაცდელი წნეხი	2	ბეტონის ნიმუშის გამოცდა კუმშვაზე, ღუნვაზე და ცემენტის მარკის დადგენა
3	STYE-2000C წნეხის დანართი ღუნვაზე გამოსაცდელად	2	ბეტონის კოჭის გამოცდა ღუნვაზე
4	STHX-2A ლაბორატორიული ღუმელი (საშრობი კარადა)	1	ინერტული მასალების გამოსაშრობი ღუმელი
5	STHSX-1 გასაორთქლებელი კამერა (მცირე ზომის)	2	ბეტონის ნიმუშებისათვის ტემპერატურული რეჟიმის კამერა
6	HBY-40B გასაორთქლებელი კამერა ბეტონისათვის	2	ბეტონის ნიმუშებისათვის ტემპერატურული რეჟიმის კამერა
7	STSJ-3 ვიბრაციული საცერი	2	ინერტული მასალების დასაფრაქციებელი საცერი
8	STLQ-3 გრუნტების ფიზიკო-მექანიკური თვისებების გასაზომი აპარატი	1	გრუნტების ფიზიკო-მექანიკური თვისებების დადგენა
9	STDJ-3A გრუნტებისა დატკეპნის კოეფიციენტის გასაზომი აპარატი	1	გრუნტებისა დატკეპნის კოეფიციენტის დადგენა
10	KZJ-5000n ცემენტის ღუნვაზე გამოსაცდელი აპარატი	1	ცემენტის ძელაკების გამოცდა ღუნვაზე
11	ვიბრაციული მაგიდა	2	ბეტონის ნიმუშის ვიბრირება
12	STLJ-60 ბეტონის მიქსერი	1	ბეტონის ხსნარის ამრევი
13	STWJ-60 ბეტონის მიქსერი	1	ბეტონის ხსნარის ამრევი
14	STSJ-2 (1 ცალი) და STSJ-1 (2 ცალი) გიდროსტატიკური სასწორი	2	წყალში წონის სასწორი
15	ბეტონის ინერტული მასალის საცერი	2	ინერტული მასალის გაცრა
16	ბეტონის ყალიბები	76	ბეტონის დაყალიბება
17	ცილინდრული ფორმები ბეტონისათვის	4	ბეტონის დაყალიბება
18	კერნის ამოსაღები აპარატი	1	კერნის ამოღება ბეტონის კონსტრუქციებიდან

19	კერნების დასამუშავებელი აპარატი	1	ამოღებული კერნის დასამუშავება წნეხზე გამოსაცდელად
20	STWKY-1 ვიკეს აპარატი	2	ცემენტის შეკვრის ვადების დამდგენი
21	ჯდომის მზომი კონუსების კომპლექტი	2	ბეტონის კონუსი
22	ZT-96 ცემენტის სანჯღრევი მაგიდა	1	ცემენტის ვიბრატორი
23	П-5 ცემენტის მიქსერი	2	ცემენტის ნარევის არევა
24	STNLD-3 ცემენტის ხსნარის დენაბადობის სამაგიდო მზომი	1	ცემენტის ხსნარის დენადობის განსაზღვრა
25	ნაყარის სიმკვრივის მზომი კომპლექტი	1	ნაყარი მოცულობითი მასის განმსაზღვრელი
26	ცემენტის ხსნარის ყალიბები	6	ცემენტის აქტივობის დასადგენად
27	STTM-4 უნივერსალური მაღალსვლიანი დამყოფი	1	ბალასტის დასაფრაქციებელი
28	STSD-2 ქვიშის ეკვივალენტურობის საგამოცდო აპარატი	1	ქვიშის ეკვივალენტურობის გამოცდა
29	STSC-1 ცემენტის კონსისტენციის მზომი	1	ცემენტის კონსისტენციის მზომი
30	STLH-1 ბეტონის ჰაერშემცველობის გასაზომი აპარატი	2	ბეტონში ჰაერშემცველობის გაზომვა
31	ZC3-A ბეტონის სიხისტის დასადგენი ხელსაწყო (ვიბრაციული)	2	ბეტონის სიხისტის დამდგენი ხელსაწყო
32	STZHS-4 ბეტონში წყალშეუღწევადობის გასაზომი აპარატი	2	ბეტონში წყალშეუღწევადობის (წყალუღონადობის) განსაზღვრა
33	ბრინელის მიკროსკოპი	1	ბეტონის ზედაპირული ბზარების გამზომი
34	კოროზიის აღმომჩენი გასაზომი აპარატი (CANIN)	1	მეტალზე კოროზიის ნორმის დადგენა
35	ბეტონში არმატურის აღმომჩენი ხელსაწყო პროფომეტრი (PROFOMETER 5+)	1	ბეტონში არმატურის მდებარეობის, დიამეტრის და დამცავი შრის დადგენა ბეტონში არმატურის მდებარეობის, დიამეტრის და დამცავი შრის დადგენა
36	ელექტრონული სატესტო ჩაქუჩი SILVER SCHMIDT	1	ბეტონის მარკიანობის დადგენა ურდვევი მეთოდით
37	ბზარების სიგანის გასაზომი კომპლექტი ეტალონური სახაზავით	1	ბეტონის ზედაპირული ბზარების გამზომი
38	ლაზერული მანძილმზომი Leica	1	მანძილმზომი

39	ულტრაბერითი ხელსაწყო Pundit	1	ბეტონში ბზარების აღმოჩენი
40	ბეტონის სიმტკიცის განსაზღვრელი ხელსაწყო ახლენა (DYNA)	1	ბეტონის სიმტკიცის დადგენა ახლენაზე
41	ჩაღუნმზომები 6-ΠΑΟ	1	კონსტრუქციული ელემენტების გადაადგილებების გაზომვა
42	რადიოდოზიმეტრი MKC-01CA1B	1	α; β; γ გამოსხივების ფონის გაზომვა
43	როდონალოზიმეტრი SIRAD MR-106	1	როდონის გაზომვა
42	ტოპოგრაფიული ელექტრო ტაქომეტრი Leica	1	ადგილმდებარეობის ტოპოგრაფიული გეგმა, ნაგებობების ფუნდამენტის ჯდომის მონიტორინგი, შენობა-ნაგებობების კრეწების დადგენა
43.	ნიველირი	1	შენობა-ნაგებობების ნიშნულების დადგენა
44	ტახომეტრი	1	
45	სასწორი 5, 30, 100	5	სასწორი